

მდინარე ჩოლაბურის აუზის გეოეკოლოგიური შეფასება

დემეტრე დალაქიშვილი

ელ. ფოსტა/E-mail: demetre.dalaqishvili352@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი

მდინარე ჩოლაბურის აუზი გეოდინამიკური პროცესების გასააქტიურებლად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებით ხასიათდება, მათ გააქტიურებას კი ხელს უწყობს ადამიანის ინტენსიური საინჟინრო-სამეურნეო საქმიანობის წარმოება. აღნიშნულმა საქმიანობამ და ბუნებრივმა პირობებმა რეგიონში არაერთი გეოდინამიკური პროცესის განვითარება გამოიწვია, რომელთაგან აღსანიშნავია: ღვარცოფები, წყალდიდობები, ეროზია, კლდეზვავ-ქვათაცვენები, მდინარეთა ნაპირების გარეცხვა, მეწყრები და სხვა. აღნიშნული სტიქიური პროცესები ვრცელდება საკვლევი აუზის თითქმის მთელ ტერიტორიაზე.

მოხდა საკვლევი აუზის შესახებ დღემდე არსებული მონაცემების მოძიება, ქრონოლოგიურად დალაგება და შესწავლა. მიღებული სურათის თანამედროვე სურათთან შედარებით გამოვლინდა, რომ საკვლევ აუზში რიგი გეოდინამიკური პროცესებია გააქტიურებული.

მდინარე ჩოლაბურის აუზის რელიეფის ძველი ტოპოგრაფიული (1:50 000 მასშტბის) რუკების შესწავლის და მათი ახალ ტოპოგრაფიულ რუკებთან, სატელიტურ და ორთოფოტოებთან შედარების საფუძველზე, სავლევ კვლევების მეშვეობით მიღებული ინფორმაციისა და კამერალური კვლევების შედეგად გამოვლინდა გეოდინამიკური პროცესების თვალსაზრისით აქტიური და საშიში ტერიტორიები, შეიქმნა შესაბამისი რუკები, ასევე შეიქმნა ანთროპოგენური ტრანფორმაციის ხარისხის რუკები.

ნაშრომში მოყვანილია აუზური კვლევის შედეგად მიღებული სხვადასხვა ჰიდროგრაფიული მახასიათებლები როგორც ტექსტური, ასევე ცხრილების და დიაგრამების სახით. საკვლევ ტერიტორიაზე გამოვლინდა სტიქიური გეოდინამიკური პროცესებით დაძაბული აუზები, დადგინდა კონკრეტულ აუზში წამყვანი სტიქიური გეოდინამიკური პროცესის სიხშირე და მოქმედების მასშტაბები.